ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(მომსახურების შესყიდვა) N75

ქალაქი ფოთი 27 მაისი , 2015 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ააიპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა პატრონობის ცენტრი", მისი დირექტორის გელა დუნდუას სახით სახით შემდეგში „შემსყიდველი", და მეორეს მხრივ, შპს „ინფრასტრუქტურა 2008", მისი დირექტორის გია სილოგავას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე-1 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, 5000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას.

1.2 ,,შემსყიდველი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი" გაუწევს ბალახის გათიბვის მომსახურებას .

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

2.1 შესყიდვის კატეგორია -77100000 (სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები)
2.2 კლასიფიკატორის კოდი - **CPV** 77112000 (სათიბი მანქანების ან სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების დაქირავება ოპერატორებთან ერთად)
2.3 შესყიდვის ობიექტის კონკრეტული დასახელება - 10 მთიბავის დაქირავება სათიბი მანქანით 1 დღით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2 (ორი) დღის განმავლობაში.
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი).

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 ივლისამდე.

6. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
6.2 **შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარით**
6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
6.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული მომსახურების ჩაბარებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ააიპ „ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი"	შპს „ ინფრასტრუქტურა 2008"
ქ. ფოთი, ჭანტურიას ქუჩა N3 ს/კ 415092919 სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 სახაზინო კოდი: 742857499 დირექტორი ბ. დუნდუა	ქ. ფოთი, ვ. კრატასიუკის ქ.N82 ს/კ 215148695 სს „ პროკრედიტ ბანკი" ბ/კ MIBGGE22 ა/ნ GE45PC0403600100002797 დირექტორი გ. სილოგავა